*დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ*

(ოქმი N3/ 24 დეკემბერი, 2021 წელი)

თავმჯდომარე ----------------/........./-

# თბილისის მწვანე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

თბილისის მწვანე სკოლა

2022-2023 წწ.

## შინაარსი

1. ზოგადი მიმოხილვა ....................................................................................................................3

2. სკოლის მისია და ღირებულებები ........................................................................................... 4

3. 2022-2028 სტრატეგიული ჩარჩო - პრიორიტეტული მიმართულებები …………………….. ..5

4. SWOT ანალიზი ..........................................................................................................................5

5. 2022-2023 დაგეგმილი აქტივობებისა და მათი განხორციელების მონიტორინგი ………. 8

6. 2022 – 2023 წწ დაგეგმილი აქტივობები .....................................................................................9

8. დანართი 1 (მონიტორინგის ფორმა) ..........................................................................................13

## *ზოგადი მიმოხილვა*

მწვანე სკოლის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს კვლევისა და შესწავლის საფუძველზე, მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში შპს "თბილისის მწვანე სკოლას" შემუშავებული აქვს ექსვწლიანი (2022-2028 წწ.) სტრატეგიული განვითარების გეგმა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას განსაზღვრულია მიზნები, რომლებიც გულისხმობს, თუ რა არის რეალურად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული თბილისის მწვანე სკოლის განვითარებისთვის.

აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია 2022-2023 წწ. დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც პასუხობს სკოლის მიერ ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს, სადაც განსაზღვრულია ოთხი ძირითადი მიმართულება.

თითოული აქტივობის დაგეგმვისა და სრულად განსახორციელებლად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ყველა ის შიდა და გარემო ფაქტორი: შესაძლებლობები, საფრთხეები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გვეხმარება ჩვენს რეალობაში სწორად ორიენტირებისთვის.

სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით გაწერილ აქტივობებს ახლავს ანგარიში, სადაც წარმოდგენილია უკვე განხორციელებული დაგეგმილი ნაბიჯების დამადასტურებელი მონიტორინგის ფორმა.

## *სკოლის მისია*

შპს „თბილისის მწვანე სკოლის“ მისიაა შექმნას მოზარდთა ინტელექტუალური და ფიზიკური აღზრდისათვის საჭირო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება. აღზარდოს სახელმწიფოებრივად და შემეცნებითად მოაზროვნე ახალგაზრდა, რომელიც მომავალი წარმატებებისათვის მუდმივად იზრუნებს აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

**ღირებულებები**

ინსტიტუციის სტრატეგიულ ჩარჩოებში მოქცეულია ფუნდამენტური ღირებულებები:

- ღიაობა/გამჭვირვალობა - ჩვენ ვენდობით ერთმანეთს;
- განვითარება და ინოვაცია - მიღწევები ინოვაციის გზით და არსებულის გაუმჯობესება.
- ერთგულება სახელმწიფოს, განათლების სისტემისა და სასკოლო საზოგადოებისადმი ერთგულება;
- პროფესიონალიზმი და საქმის სიყვარული.
- თანამშრომლობა სხვათა შრომის, მიღწევების, იდენტობისა და აზრის პატივისცემა;
- სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
- საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

## *2022-2028 წწ. სტრატეგიული ჩარჩო - პრიორიტეტული მიმართულებები*

მწვანე სკოლის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს კვლევისა და შესწავლის საფუძველზე, მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში შპს "თბილისის მწვანე სკოლას" შემუშავებული აქვს ექვსწლიანი (2022-2028 წწ.) სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობები პასუხობს სწორედ იმ ჩარჩოს, რომელშიც წარმოდგენილია ხუთი ძირითადი პრიორიტეტი:

**I. თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისი სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის განვითარება**

**II. თანამშრომლეთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნა**

**III. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმიზაცია და განვითარება**

**IV. სკოლის ორგანიზაციული განვითარება და საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება**

## *SWOT ანალიზი*

სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების გამოკვეთის, კონკრეტული სტრატეგიული ჩარჩოს ჩამოყალიბებისა და ახალი იდეების გენერირებისთვის მწვანე სკოლა იყენებს SWOT ანალიზის მეთოდს. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რათა სწორად განისაზღვროს გარემოში არსებული მოსალოდნელი საფრთხეები, რომელთა დაძლევისა და პრევენციისთვის შევძლოთ სკოლის ძლიერი მხარეების გამოყენება, ხოლო შესაძლებლობები დავიხმაროთ სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად.

*სტრატეგიული ანალიზი*




**შიდა ფაქტორების ანალიზი** მოიცავს სხვადასხვა სეგმენტს: სწავლა - სწავლების მეთოდებსა და იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც გამოიყენება აღნიშნული პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის; ადამიანური რესურსის სწორად შერჩევას, გამოყენებას, მხარდაჭერასა და მათ განვითარებაზე ზრუნვას. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**გარე ფაქტორების ანალიზისას** გამოიკვეთა ქვეყნის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა დემოგრაფიული სტატისტიკა, ქვეყანაში დასაქმების დონე და სხვა, კონკურენტული ბაზრის შესწავლა, განახლებული კანონმდებლობა, ახალი მოთხოვნები და სტანდარტები.

## ძლიერი მხარეები

- მოტივირებული და მაღვალკვალიფიციური თანამშრომლები
- გამართული ინფრასტრუქტურა
- საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- საკუთარი შენობა და დიდი ტერიტორია
- გამჭვირვალე შეფასების სისტემა და ეფექტიანად მოქმედი საგნობრივი კათედრები
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ეფექტიანი მექნიზმები
- სკოლის ბაზაზე მოქმედი მრავალფეროვანი კლუბები
- არსებული მოსწავლეებისა და მშობლების პოზიტიური დამოკიდებულება
- სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან აქტიური თანამშრომლობა

## სუსტი მხარეები

- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების არქონა
- თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების კლუბების არქონა
- დახურული სპორტული დარბაზის ფართობის სიმცირე
- მოწვეული სპეციალისტების საჯარო ლექციები
- სერტიფიცირებული მასწავლებელების ნაკლებობა
- სააქტო დარბაზის არქონა
- მშობლებთან კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმის არარსებობა
- ეფექტური მარკეტინგული ღონისძიებები

# SWOT

## შესაძლებლობები

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- სკოლისთვის ინვესტიციების მოზიდვა
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა
- მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტური პლატფორმის დანერგვა
- დამატებითი კლუბების შექმნა
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა

## საფრთხეები

. ქვეყანაში არსებული არამდგრადი ეკონომიკური მდგომარეობა

. მაღალი კონკურენტული გარემო

. სკოლაში დასაქმებული კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები

. მოსწავლეთა მოძრაობა

## *2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობებისა და მათი განხორციელების მონიტორინგი*

2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას გაწერილია კონკრეტულ დროში.

სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, სკოლის დირექტორის მიერ ტარდება ყოველწლიური მონიტორინგი და განიხილება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების შესრულების სტატუსისი.

მონიტორინგი ნიშნავს იმის შემოწმებას:

- სრულდება თუ არა მოქმედებები გეგმის მიხედვით;
- არსებობს თუ არა მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები;
- თვალსაჩინოა თუ არა შედეგები მიზნობრივ ჯგუფთან;
- საჭიროა თუ არა მაკორექტირებელი ქმედებები;
- ცვლილებების შემთხვევაში, რა ალტერნატივები არსებობს.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შემოწმების საშუალებას იძლევა ინდიკატორები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი. ინდიკატორი უნდა იყოს ადვილად გასაგები, კონკრეტული, არაორაზროვანი და გაზომვადი.

სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექტორის მიერ ფასდება შესრულებული აქტივობები და ივსება ფორმა, რომელშიც მითითებულია ზემოთხსენებული ინდიკატორები და განხორციელების შესრულების სტატუსი (იხ. დანართი 1).

განხორციელებული აქტივობის შესრულების სტატუსი:

1. განხორციელების პროცესი **ჯერ არ დაწყებულა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი ჯერ არ დაწყებულა;
2. განხორციელების პროცესი **მიმდინარეობს** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი მიმდინარეობს;
3. განხორციელების პროცესი **შეჩერებულია** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეჩერებულია;
4. განხორციელების პროცესი **შეწყვეტილია** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეწყვეტილია.
5. განხორციელების პროცესი **დასრულებულია**.

| # | აქტივობების შინაარსი | შესრულების დრო<br>გაწერილი ვადები | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | |
| 1.1 | სკოლის წესდების, შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის დებულების, სკოლის პედსაბჭოს, ხარისხის მართვის დებულების, შეფასების აღრიცხვის ფორმების, თანამდებობრივი ინსტრუქციების, მონიტორინგის ფორმების, სკოლის ბიუჯეტის, დღის რეჟიმის, გაკვეთილების ცხრილის, ღონისძიებების კალენდრის გადახედვა/შემუშავება/მოდიფიცირება. | 2022-2023<br>სექტემბერი | დირექტორი, მოადგილე იურისტი, ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი | |
| 1.2 | შენობის ფლობის, ელექტრო, წყალმომარაგების, კომუნიკაციების სისტემებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. | 2022-2023<br>სექტემბერი | დირექტორი,<br>ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი,<br>სამეურნეო სამსახურის უფროსი | |
| 1.3 | სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტის საავტორიზაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანა | 2022-2023<br>სექტემბერი | დირექტორი,<br>მოადგილე, ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი | |
| 1.4 | მატერიალურ ტექნიკური ბაზის მოდიფიკაცია, სკოლის ბუფეტში სანჰიგიენური სამუშაოების ჩატარება, სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული გარემოს მოწესრიგება. | 2022-2023<br>სექტემბერი | სკოლის დირექტორი,<br>სამეურნეო სამსახურის უფროსი | |
| 1.5. | მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა. მასწავლებლის სკოლაში მიღების წესის შემუშავება. მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება. | 2022-2023<br>აგვისტო/სექტემბრი/ | სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი, ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი | |
| 1.6. | ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მისი განხორციელების ხარისხის შეფასება. | 2022-2023<br>სექტემბერი დანერგვა/შეფასება | დირექტორი,<br>ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სასწავლო წლის ბოლოს | | |
| 1.7 | საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერება სამუშაო გეგმების შემუშავება და დამტკიცება. კათედრის გამგეების არჩევნების ჩატარება. კათედრების დებულებების შემუშავება და დამტკიცება. | 2022-2023 სექტემბრის დასაწყისი | სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი | |
| 1.8 | დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე ხელოვნების გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეების მიერ ხელნაკეთი ნივთების, პოსტერების, ნახატების შექმნა საქველმოქმედო გამოფენის მოწყობა. | 2022-2023 მაისი | ადმინისტრაცია, ხელოვნებისა და ესთ. კათედრა, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი | |
| 1.9. | ლიტერატურული კლუბის შექმნა | 2022-2023 თებერვალი | ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა | |
| 1.10 | სკოლის მონაცემთა ბაზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეების ელექტრონულ ფორმატში ორგანიზება. | 2022-2023 ნოემბერი | სკოლის ადმინისტრაცია. იურისტი. | |
| 1.11 | სკოლაში ახალი ელექტრონული ჟურნალის სერვისის მქონე კომპანიის მოძიება/ბაზების გადატანა | 2022-2023 ივლისი/აგვისტო | დირქტორი, კომუნიკაციების მენეჯერი | |
| 1.12 | დებატებისა და სამოქალაქო კლუბის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ახალი წევრების დამატება | 2022-2023 ოქტომბერი | ადმინისტრაცია | |
| 1.13 | ბიბლიოთეკის მატერიალური რესურსის გამრავალფეროვნება | 2022-2023 აგვისტო | დირექტორი ბიბლიოთეკარი | |
| 1.14. | ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო სივრცეების მოდიფიცირება | 2022-2023 ივლისი/აგვისტო | დირექტორი | |
| 1.15. | სარემონტო სამუშაოების ჩატარება: კლასებისა და დერეფნების კოსმეტიკური რემონტი. სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, სპორტული დარბაზის განახლება, სკოლის ფასადის პროექტის განხილვა და მოწყობა | 2022-2023 აგვისტო | დირექტორი. სამეურნეო სამსახურის უფროსი სამეურნეო სამსახურის უფროსი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.16 | სკოლის ეზოში ღია საგაკვეთილო და სპორტული გამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობა | 2022-2023<br>ივლისი | დირექტორი,<br>სამურნეო სამსახურის უფროსი | |
| 1.17 | უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის მიზნით მემორანდუმების გაფორმება | 2022-2023<br>ნოემბერი | ადმინისტრაცია | |
| 1.18 | მოსწავლეების ჩართულობით საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა | 2022-2023<br>სასწავლო წლის განმავლობაში | ადმინისტრაცია, დამრიგებლები | |
| 1.19 | მშობლების საკონტაქტო ინფორმაციის ელექტრონული ბაზის შექმნა (ელფოსტა, მობილური) და მათთან კომუნიკაციის ფორმების შემუშავება | 2022-2023<br>თებერვალი | ადმინისტრაცია | |
| 1.20<br><br>1.21 | მასწავლებელთა ახალი და დამხმარე სახელმძღვანელოებით ინტერნეტ რესურსებით უზრუნველყოფა.<br><br>წიგნიერების დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება. | 2022-2023<br>სასწავლო წლის განმავლობაში<br><br>2022-2023<br>სასწავლო წლის განმავლობაში | დირექტორის მოადგილე<br><br>ადმინისტრაცია, დაწყებითი საფეხური მენეჯერი | |
| 1.22 | სკოლის ცენტრალური შემოსასვლელის კეთილმოწყობა | 2022-2023<br>ივლისი | დირექტორი, სამეურნო სამსახურის უფროსი | |
| 1.23 | სკოლაში ინვესტიციების მოზიდვა. ბიუჯეტის შემუშავება ფინანსური რესურსის პროპორციულად განაწილება. | 2022-2023<br>წლის განმავლობაში | დირექტორი, ბუღალტერი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.24 | სკოლის ვებგვერდის დიზაინის შეცვლა, სკოლის facebook გვერდზე სხვადასხვა აქტივობის განთავსება, Instagram გვერდის გაკეთება.. | 2022-2023 დეკემბერი/იანვარი | დირექტორი, აიტი მენეჯერი, კომუნიკაციების მენეჯერი |
| 1.25 | მოსწავლეებისთვის სამოტივაციო, საჯარო შეხვედრების ჩატარება, TED Talks. | 2022-2023 წლის განმავლობაში | დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფსიქოლოგი |
| 1.26 | წინასასკოლო მოსამზადებელი ცენტრის ჯგუფისა და სასადილო სივრცის დამატება . | 2022-2023 აგვისტო | დირექტორი, წინასასკოლო ცენტრის მენეჯერი |
| 1.27 | მიზნობრივი აუდიტორიის გამოკითხვა და უკუკავშირის შედეგებზე დაყრდნობით სკოლის სასწავლო პროგრამის, ინფრასტუქტურისა და სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესება. | 2022-2023 მაისი | დირექტორი კომუნიკაციების მენეჯერი |
| 1.28 | სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, მშობელთა ბორდის ჩამოყალიბება. | 2022-2023 იანვარი/თებერვალი | დირექტორი, დირექტორის მოადგილეები |
| 1.29 | მშობელთა კლუბის დაარსება და მშობლებისთვის ტრენინგებისა და საჯარო ლექციების მოწყობა. | 2022-2023 აპრილი | დირექტორი, ფსიქოლოგი |
| 1.30 | ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის პროფესიული ტრენინგები. | 2022-2023 აპრილი | დირექტორი, ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი |
| 1.31 | თანამშრომელთა პოზიტიური გარემოს შესაქმნელად გუნდური აქტივობების დაგეგმვა: სპორტული შეჯიბრება, გასვლითი ღონისძიებები, ფსიქოლოგიური თამაშები. | 2022-2023 მაისი-ივნისი | დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, კომუნიკაციების მენეჯერი ფსიქოლოგი |

*დანართი 1*

## *აქტივობების განხორციელების მონიტორინგი*

| # | ამოცანა N | შესრულების ინდიკატორი | შესრულების სტატუსი | | | | | რეკომენდაცია აქტივობაზე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ***2022-2023*** | | | ჯერ არ დაწყებულა | მიმდინარეობს | შეჩერებულია | შეწყვეტილია | დასრულებულია | |
| 1 | 1.1 | | | | | | | |
| 2 | 1.2 | | | | | | | |
| 3 | 1.3 | | | | | | | |
| 4 | 1.4 | | | | | | | |
| 5 | 1.5 | | | | | | | |
| 6 | 1.6 | | | | | | | |
| 7 | 1.7 | | | | | | | |
| 8 | 1.8 | | | | | | | |
| 9 | 1.9 | | | | | | | |
| 10 | 1.10 | | | | | | | |
| 11 | 1.11 | | | | | | | |
| 12 | 1.12 | | | | | | | |
| 13 | 1.13 | | | | | | | |
| 14 | 1.14 | | | | | | | |
| 15 | 1.15 | | | | | | | |
| 16 | 1.16 | | | | | | | |
| 17 | 1.17 | | | | | | | |
| 18 | 1.18 | | | | | | | |
| 19 | 1.19 | | | | | | | |
| 20 | 1.20 | | | | | | | |
| 21 | 1.21 | | | | | | | |
| 22 | 1.22 | | | | | | | |
| 23 | 1.23 | | | | | | | |
| 24 | 1.24 | | | | | | | |
| 25 | 1.25 | | | | | | | |
| 26 | 1.26 | | | | | | | |
| 27 | 1.27 | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | 1.28 | | | | | | | |
| 29 | 1.29 | | | | | | | |
| 30 | 1.30 | | | | | | | |
| 31 | 1.31 | | | | | | | |

*ვამტკიცებ შპს "თბილისის მწვანე სკოლის დირექტორი: /კ.დავითური/*